ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2144696

ნომერი: AR1334589

თარიღი : 12.08.2015

გაცემის თარიღი : 18.08.2015

გაცნობის თარიღი : 29.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , (ნაკვეთი N 034/514) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ გვაზავა პ/ნ 62001031044
- სოხუმი ნ.ბარათაშვილის ქ. N 4 ბ. 16

ორგანიზაცია:

- შპს "ელიტა ბურჯი" კოდი: 206120437

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

• მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში უკვე დაფიქსირებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით განიმარტოს სამსახურის მიერ №1172041 გადაწყვეტილებით შეთანხმებული აბრის თაობაზე, კერძოდ დაზუსტდეს უკვე განხორციელდა თუ არა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შეთანხმებული აბრის განთავსება.
• იმ შემთხვევაში თუ სარეკლამო აბრის მოწყობასთან ერთად ასევე ხორციელდება ვიტრინის რეკონსტრუქციაც (აღნიშნული ეჭვი გამოწვეულია წარმოდგენილი ფოტომონტაჟიდან), ასეთ შემთხვევაში საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასახოთ მოთხოვნის ტექსტში, ატვირთოთ განახლებული ფოტომონტაჟი ვიტრინის გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით, ასევე ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნომენკლატურაში დამატებით აირჩიოთ „ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი“.
• გარდა ამისა „არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება“–ს ველში აიტვირთოს საპროექტო მიწის ნაკვეთის და შესაბამისად ფართის მესაკუთრის –შ.პ.ს „ევროსტილი XXI“–ს უფლებამოსილი პირის მიერ თქვენ სახელზე გაცემული მინდობილობა. ასევე შესაძლებელია აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.